გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024 წელი ჩვენი ქვეყნისთვის ყოფილიყოს წინსვლის, განვითარებისა და წარმატებების მომტანი! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას!

გიორგი ურუშაძე,
გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული

გილოცავთ დამდეგ 2024 წელს! გისურვებთ კეთილდღეობას, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას! ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო. გილოცავთ ამ დიდ მიღწევას!

2024 წელი მშვიდობის, წარმატების, სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

დავით დარჩია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გურულებო, მსოფლიოში ჩემთვის ყველაზე გულიანო ხალხო, გილოცავთ შობა- ახალ წელს. მრავალს დაესწარით. სითბო,სიკეთე სინათლე, სიყვარული და ბედნიერება არ მოკლებოდეს თქვენს კერიას. ბარაქა და ხვავი არ მოგაკლოთ ღმერთმა.

ზაურ ოსეფაიშვილი,
„საქართველო,შალომ კლუბი „გურია“ პრეზიდენტი

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10467) 28 დეკემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

მაღაზია „ნეჰტუნი“

ძმები ჭანუყვაძეების მარკეტი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მის: ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №14

ოზურგეთში, ცენტრალურ მოედანზე ქალაქის მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო

ოზურგეთის მერიის ინფორმაციით, საახალწლო ღონისძიება, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენით დაიწყო. მუსიკალური და გასართობი პროგრამის შემდეგ, ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა ზვიად ბოლქვაძემ, სოფო გელოვანმა, გიორგი სუხიტაშვილმა, ნეკა სებისკვერაძემ, ნოდიკო ტატიშვილმა, ანი კეკუამ და ჯგუფმა „ირიაომ“ მიიღო.

ღონისძიებას გურიის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოქალაქეებთან ერთად დაესწრნენ.

ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ ადამიანებს დამდეგი შობა-ახალი წელი ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ** მიულოცა.

„უამინდობის მიუხედავად მადლობა ყველას, რომ მიიღეთ ჩვენი მოწვევა და მობრძანდით. მინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და წარმატებები!

ჩვენმა ქვეყანამ დამსახურებულად მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. გილოცავთ ამ ისტორიულ მიღწევას, რომელიც „ქართული ოცნების“ ძლიერი გუნდის და თქვენი, თითოეული მოქალაქის, დამსახურებაა. საკმაოდ დატვირთული წელი გვქონდა ოზურგეთში – ქალაქსა და სოფლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. მომავალი წელი იქნება კიდევ უფრო მეტი აღმშენებლობის და კეთილდღეობის მომტანი. გპირდებით, კვლავ გვექნება პოზიტიური სიახლეები და განვავრძობთ ოზურგეთის განვითარებას და განახლებას. კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ მინისტრს, მთავრობას და საქართველოს პარლამენტს, ჩვენი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისთვის! გილოცავთ დამდეგ 2024 წე-ლს!,“– აღნიშნა ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვეორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული სომხეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს შეხვდა

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მერის პირველ მოადგილესთან **გიორგი ღურჯუმელიძესთან** ერთად სომხეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს - **ნარინე მატოსიანს** შეხვდა.

შეხვედრაზე რეგიონში მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრეს და მხარეებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციების ჩარიცხვა დაიწყო

ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში 8 სექტემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის დაიწყო კომპენსაციების ჩარიცხვა.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით სტიქიის დროს დაზარალებული ოჯახები, რომლებიც გეოლოგების დასკვნის საფუძველზე განსახლებას ექვემდებარებიან, ფულად კომპენსაციას - 50 000 და 30 000 ლარის ოდენობით მიღებენ.

მხარის რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან **ავთანდილ თალაკვაძესთან** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან **ალექსანდრე სარიშვილთან** ერთად დაზარალებულ მოქალაქეებს შეხვდა.

სოფელ ზოტში გზის 2 კმ-იან მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგო



ჩოხატაურში, მაღალმთიან სოფელ ზოტში, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

რეაბილიტირდა ზოტის ცენტრალური გზა.

გზის 2 კმ-იან მონაკვეთზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო.

ამ მასშტაბის საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოები აღნიშნულ სოფელში დიდი ხნის გამოწვევას წარმოადგენდა.

პროექტის ღირებულება 1 მლნ 20 ათასი ლარია, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

დასრულებული სამუშაოები ჩოხატაურის მერმა **დავით შარაშიძემ** პირველ მოადგილესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად მოინახულა.

USAID/საქართველოს მხარდაჭერით ურეკში, „კოლხიდას“ სანატორიუმში 215 კვტ. სიმძლავრის მზის ელექტროსადგური გაიხსნა

საქართველოს რეგიონებში ეკომეგობრული გადაწყვეტილებების წასახალისებლად და კერძო სექტორთან წარმატებული თანამშრომლობის აღსანიშნავად, **USAID/**საქართველომ ურეკში მდებარე „კოლხიდას“ სანატორიუმში 215 კვტ. სიმძლავრის მზის ელექტრო პანელები დამონტაჟდა.

აღნიშნულ პროექტში, **USAID**-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამამ საქართველოში, ტექნიკური და მატერიალური მხარდაჭერა გაუწია შპს „კოლხიდას“ სანატორიუმს, და 215 კვტ. ფოტოელექტრული მზის პანელებით აღჭურვა მის მფლობელობაში არსებული სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრი ურეკში.

USAID-ის მატერიალური წვლილი პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ს, ხოლო დარჩენილი 50% კოლხიდას თანამონაწილეობას წარმოადგენს.

აღნიშნული ინიციატივით, **USAID** მხარს უჭერს საქართველოში კერძო სექტორის ჩართულობის გზით განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების განვითარებას. ამისათვის, **USAID**-მა გამოყო დამატებითი ბიუჯეტი, რომელიც მიზნად ისახავს, კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად, 2026 წლის 1 ოქტომბრამდე 30 საპილოტე პროექტის განხორციელებას.

შემოქმედის ეპარქიას კიდევ ერთი მართლმადიდებლური ტაძარი შეემატა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში, ოქროსქედის (მშვიდობაური) უბანში „წმინდა მამა გაბრიელ აღმსარებლის და სალოსის სახელობის“ ტაძარი გაიხსნა.

ეკლესია, შემოქმედელმა მიტროპოლიტმა **მეუფე იოსებმა** აკურთხა და სასულიერო პირებთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა.

ჩატარდა ტაძრის გარშემო ლიტანიობა-ლოცვითი მსვლელობა; წირვის დასრულების შემდეგ, მეუფე იოსებმა მრევლი დალოცა და ეკლესიის გახსნა მიულოცა.

ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს დეკანოზი **იოსებ ნაკაიძე** და თანამსახური დეკანოზი **ზაქარია მახარაძე.**

„ეპ ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ დამდეგ 2024 წელს!

წმინდა ნინოს მართლმადიდებლური სკოლის გუნდი „მთიები“ ინტელექტ-თამაშების: რა? სად? როდის? გამარჯვებული გახდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე – ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ინტელექტ-თამაშების: რა? სად? როდის? ფინალური შეხვედრა გაიმართა.

გამარჯვებული გახდა წმინდა ნინოს მართლმადიდებლური სკოლის გუნდი „მთიები“.

ადგილები ასე გადანაწილდა:

II ადგილი – II საჯარო სკოლა „ჰერა“;

III ადგილი – I საჯარო სკოლა „ომოიკანე“;

IV ადგილი – დვაბზუს საჯარო სკოლა „ატაგენუსი“.

ფინალში მონაწილე ოთხივე გუნდს დიპლომები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

წინასაახალწლო კონცერტი ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში

ქ.ოზურგეთის გ.კილაძის სახელო-ბის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა-წინასაახალწლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: სკოლის გუნდი,საფორტეპიანო,საორკესტრო და ხალხურ საკრავთა განყოგილების მოსწავლეები.

კონცერტს ესწრებოდნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-**ლალი სიჭინავა**, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი **ავთანდილ სურგულაძე,** მშობლები,პედაგოგები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საახალწლო ღონისძიებები იმართება

სოფელ მაჩხვარეთისა და ქალაქის საბავშვო ბაღებში მერის პირველი მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძე** იმყოფებოდა, რომელმაც ბავშვებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 900-მდე აღსაზრდელია. თითოეულ მათგანს მუნიციპალიტეტის მერიისგან საახალწლო საჩუქრები გადაეცემა.

ნათია გოლიაძემ №9 ბაღის აღსაზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა

ნათია გოლიაძემ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და საჩუქრები გადასცა

ქალაქ ოზურგეთის №9 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ოზურგეთის მერის მოადგილე ნათია გოლიაძე ესტუმრა და მათ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

მერიის გადაწყვეტილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საახალწლო საჩუქრები ეტაპობრივად დარიგდება.

№4 ბაღში მშობლებელთა საგანმანათლებლო კლუბის შეხვედრა გაიმართა

მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბავშვებთან ეფექტური მუშაობა ოჯახებთან პატრიოტული ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. ბავშვი ვითარდება ორივე გარემოში –ოჯახშიც და ბაღშიც.

წლის დასაწყისში მოეწყო შეხვედრა მშობლებთან. არჩეული იქნა მშობელთა საკონსულტაციო საბჭო. საბჭოსა და ბაღის თანამშრომლების ერთობლივი გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა მშობელთა საგანმანათლებლო კლუბი, რომლის მიზანია მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება; ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების ჩართულობა ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა.

ამ მიზნით მშობელთა საგანმანათლებლო კლუბის წევრებთან ერთად შედგა შეხვედრების გეგმა-გრაფიკი და ბაღში მოვიწვიეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, პედიატრი **დავით მდინარაძე,** რომელმაც მშობლებს ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებზე ესაუბრა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მომდევნო შეხვედრა ფსიქოლოგთან თემაზე ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებები – მომავალ წელს გაიმართება.

მარიკა ღლონტი,
№4 საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ნაილი გრძელიძე,
მეთოდისტი.

თამაზ მალაზონიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში გამარჯვება ოზურგეთის „ნიკეამ” მოიპოვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტის სასახლეში, აფხაზეთის ომში დაღუპულ თამაზ მალაზონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი გაიმართა. ტურნირში სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სასკოლო ასაკის გოგონათა 6 გუნდი მონაწილეობდა, რომელთა შორის გამარჯვება ოზურგეთის გუნდმა – „ნიკეამ” მოიპოვა.

სპორტული შეჯიბრს, რომელიც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის - გურიის რეგიონული სამმართველოს ორგანიზებით ჩატარდა, მას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ტარიელ არაშიძე და-ესწრო.

გიორგი თოხაძე –წლის აღმოჩენა და ოლიმპიური იმედი

23-წლამდელთა შორის, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, მსოფლიო ჩემპიონი **გიორგი თოხაძე** საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის აღმოჩენად და ოლიმპიურ იმედად დაასახელა –აღნიშნულ ინფორმაციას ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ავრცელებს.



გურიის 2023 წლის ჩემპიონი ჭადრაკში მინდია ჩხიკვიშვილია



გურიის 2023 წლის ჩემპიონატზე ერთი ტურით ადრე ჩემპონის ტიტული **მინდია ჩხაიკვიშვილმა მოიპოვა.** მას ბოლო ტურის წინ 7 ქულა ჰქონდა. მინდიამ ეს ტიტული უკვე მესამეჯერ მოიპოვა. მანამდე იგი 2002 და 2016 წელს ფლობდა რეგიონის ჩემპიონობას. მას ეკუთვის რეკორდიც, ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში ჩემპიონობა (2002 წელს იგი 14 წლის იყო). იგი სპორტის ეროვნული ოსტატია, ეწევა ნაყოფიერ სამწვრთნელო საქმიანობას, არის აქტიური მოჭადრაკე 2000 მეტი რეიტინგით. ვულოცავთ მას. ამ გამარჯვებას!

ბოლო ტურში მინდია ჩხიკვიშვილმა ადამ ხუხუნაიშვილი დაამარცხა. საპრიზო ადგილების პრეტენდენტებმა ოზურგეთელმა **გიორგი გოგოლაურმა** და ლანჩხუთელმა **მიხეილ აფხაზავამაც** გაიმარჯვეს. მათ 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს. კოეფიციენტის მიხედვით მეორე საპრიზო ადგილი მიხეილ აფხაზავას ერგო.

გაიმართა ტურნირის საზეიმო დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

პრემიერა

ომის მტკივნეული შედეგი და არჩევანი, ბოროტებასა და სიკეთეს შორის

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ექსპერიმენტული სცენა 22 დეკემბერს, **ელენე მაცხონაშვილის** საავტორო სპექტაკლით **„ცოტა ომი და დიდი სიყვარული“** – მასპინძლობდა მაყურებელს.

კომპოზიტორი შალვა მაცხონაშვილი; რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაშვილი; მონაწილე მსახიობები: ციცი ბუცხრიკიძე,შორენა სიხარულიძე, ირაკლი ურუშაძე, მარიკა ასათიანი, ჯაბა მორჩილაძე, თეა კეჭაყმაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, გენადი ნიკოლაშვილი.

ეზო, სადაც არ აციან რა არის ომი, სადაც ყვავილები, სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა. სწორედ ეს ეზო იშლება მაყურებლის თვალწინ სპექტაკლში. აქ არის ერთი დიდი ტრადიციული ოჯახი, აქ ერთმანეთს კარგად იცნობენ. ცხოვრებენ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარებით. აქაურ რეალურ ყოფას ვერ ანგრევს შურისა და ბოღმის აჩრდილი, ცხოვრება ისე გრძელდება. სპექტაკლში არაა მრავალსიტყვაობა, ან ემოციურად დატვირთული დიალოგები, აქ ემოციები პირადი ურთიერთობებით და ურთიერთ პატივისცემით იმართება.

„ჩვენი ეზო ჩვენი სამოთხეა, ყველა ერთად რომ ვართ და ერთმანეთი გვიყვარს, ესაა სამოთხე“.

მაგრამ, ამ სილამაზეს მაინც აუფასურებს ის უდიდესი ბოროტება, რასაც ომი ჰქვია.

ომი დაიწყო!

„„დაეცა, ერთი კვირის წინ, ქალაქი დაეცა, მიწა გასკდა თითქოს და ჩვენი ეზოც მაგ მიწამ ჩაიტანა, ჩვენი კაცები ომში არიან, უნდა გადარჩნენ ეგენი, ჩვენც უნდა გადავრჩეთ ვინც ომს იწყებს, ჯოჯოხეთში უნდა ხვდებოდნენ, მხო-ლოდ ეგენი უნდა ხვდებოდნენ"

კაცები იბრძვიან ოჯახთა დასაცავად, საყვარელ ადამიანთა საფლავების დასაცავად, სამშობლოს დასაცავად. არავინ იცის ვინ გადაურჩება ომის საშინელ ქარტეხილებს. ქალები, მთებით უნდა გადავიდნენ სამშვიდობოს. „ამასაც თუ მშვიდობა ჰქვია“.

იმთავითვე განწირულნი, მაგრამ მაინც შეუდრეკელნი, *„მე დედა ვარ და ჩვემი შვილი ომშია, მე დედა ვარ და ჩემი ქმარი ომშია“...* ომმა წაიღო მშვიდი და მშვიდობიანი ცხოვრება. იყინებიან თანდათან, ათოვს და თეთრად იფერება მათი მოცახცახე სხეულები. ესაა ომის საშინელი შედეგები.

სპექტაკლის შემოქმედებითი კოლექტივი და მსახიობები კარგად ახერხებენ ყველა ამ უმძიმესი ეპიზოდის გადმოცემას. კიდევ ერთხელ იღვიძებს ყოველთვის აქტუალური თემა – ომი ყველაფერს ანადგურებს, სილამაზეს, სიყვარულს, ბედნიერებას, სიცოცხლეს...და რომ მშვიდობის ფასი არაფერია, მათ შორის ადამიანურ ურთიერთობებში, რომელიც დღეს ესოდენ მოსანატრი გაგვხდომია. რადგან სწორედ ურთიერთპატივისცემა გაგვხდომია მოსანატრი.

სპექტაკლის „ცოტა ომი და ბევრი სიყვარული" საპრემიერო ჩვენების შემდეგ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასო ჩიგოგიძემ,** რეჟისორს, ელენე მაცხონაშვილს მადლობა გადაუხადა და საკუთარი შეფასება გააკეთა.

„ეს არის სპექტაკლი, რომელმაც მომგვარა ნოსტალგია ურთიერთობების, თუ როგორ უყვარდათ, როგორ ეფერებოდნენ ერთმანეთს და როგორ უნდა მოვეფეროთ დღესაც, დავივიწყოთ ყველაფერი ცუდი, რაც დრომ მოიტანა. ეს ნოსტალგია ყველა იმ ნიჭიერი ადამიანის შემოქმედებასაც მახსენებს, რომელიც ჩემს თეატრს უკავშირდება.

ჩვენ ვქმნით თეატრს, რომელსაც უყვარს მაყურებელი და ნუ ვიქნებით ბოღმით, შურით დაკავებული, ჩვენ გიცხადებთ ჩვენს სიყვარულს".

ელენე მაცხონაშვილი: *–ძალიან მიყვარს ოზურგეთის თეატრი, რადგან ფაქტიურად აქ გავიზარდე. მიუხედავად იმისა, რომ თეატრალურ ოჯახში გავიზარდე, ვასო ჩიგოგიძის სპექტაკლებმა გადამწყვეტინა ვყოფილიყავი რეჟისორი. დიდი მადლობა შემოქმედებით პერსონალს, თეატრის ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ განმეხორციელებინა ეს სპექტაკლი.*

ცალსახად ვგმობ ომს და რაც ყველაზე მეტად გვინდა, ეს არის მშვიდობა მსოფლიოში.

მსახიობები ამ სპექტაკლს რომ კარგად გაართმევდნენ თავს, ამაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი. მობილიზებულ და კომპაქტურ შემოქმედებით ჯგუფთან ვმუშაობდი და კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი მათ, რომ ძალიან მოკლე დროში მოვამზადეთ სპექტაკლი.

25 დეკემბრიდან თეატრი პატარა მაყურებელსაც უმასპინძ-ლებს საახალწლო ჩვენებით - „წუნა და წრუწუნა“ რეჟისორი ელენე მაცხონ-აშვილი.

გაზეთი „ალიონი“ ულოცავს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს დამდეგ შობა-ახალ წელს. შემოქმედებით წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებთ თეატრის ყველა მესვეურს, და რაც მთავარია მშვიდობას.

ნინო ნიკოლაიშვილი.

„კანონი უნდა იყოს მკაცრი იმ პირების მიმართ, რომლებიც უკონტროლოდ ამრავლებენ ძაღლებს კომერციის მიზნით“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში პიტბულის ჯიშის ძაღლმა ორი ბავშვი დაკბინა. შემთხვევის დროს, ბავშვები დედასთან ერთად იმყოფებოდნენ. შემთხვევის შედეგად 5 და 2 წლის ძმები დაშავდნენ, განსაკუთრებით საყურადღებო კი 2 წლის ბიჭის მდგომარეობაა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ძაღლი თავდაპირველად თავს დაესხა უფროს, 6 წლის ძმას. იმ დროს კი, როცა დედა მეზობელთან ერთად ცდილობდა დაკბენილი ბავშვის მანქანაში ჩასმას და კლინიკაში გადაყვანას, ძაღლი მეორე, ორი წლის ბავშვს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა.

2 წლის ბიჭი იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს.

–*„აუცილებელი ჩარევა, რაც განხორციელდა პირველ ეტაპზე, ეს იყო კანის დაზიანებული უბნების მოცილება, ჭრილობის გასუფთავება, ამის ძირითადი მიზანი იყო მეორადი ინფექციისგან ბავშვის დაცვა. რისკი ამ ეტაპზე ინფექციის განვითარების ძვლის ინფექციის, სისტემური ინფექციის, არის მინიმუმამდე დაყვანილი. ახლა ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია,* წუხანდელმა ღამემ მშვიდად ჩაიარა და მშობლები აღნიშნავენ, რომ პირველი ღამე იყო, როცა ბავშვს წყნარად ეძინა, ტემპერატურა არ აქვს", – განაცხადა იაშვილის კლინიკის სამედიცინო დირექტორმა **ივანე ჩხაიძემ.**

შემდეგ ის კარაპს მედლაინშია" გადაიყვანეს. რთულმა ოპერაციამ 14 საათი გასტანა.

ამ ეტაპზე, ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია. ოპერაციის ხარჯები ჯანდაცვის სამინისტრომ დააფინანსა.

– *„მთლიანად უფალზე ვართ დამოკიდებული. არ ვიცით როგორი იქნება მისი მდგომარეობა. მთელმა სამეზობლომ ბავშვი ძაღლს პირიდან ძლივს წავართვით. არ ვიცი ეს რა იყო. მთელი სოფელი ფეხზე ვიდექით, ბავშვები დაჭამა ძაღლმა“,* – განაცხადა ერთ-ერთმა მეზობელმა, ერთ-ერთ ცენტრალურ მედიასაშუალებასთან.

აღნიშნულ ფაქტს ოზურგეთში „ცხოველთა პოპულაციის ცენტრი“ გამოეხმაურა.

–*„ძაღლმა, რომელმაც დაკბინა ბავშვები, გადმოყვანილია ჩვენთან! მისი აყვანა მოხდა ეზოს შიდა ტერიტორიაზე, მაგრამ ოჯახი აცხადებს, რომ ცუგა არის უსახლკარო. მერიის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება საკარანტინე დაკვირვება! იმის მიუხედავად, რომ ოჯახი ამბობს რომ ეს არ არის მათი ძაღლი. აქვე ავღნიშნავ, ეს არ ჰგავს ქუჩაში დაბადებულ და გაზრდილს. სავარაუდოდ, ცუგა ან ახალ გადმოსმულია ან არასათანადო პირობებში იზრდებოდა! საქართველოში გავრცელებული არასწორი აღზრდის და წვრთნის შედეგ მათში ხორციელდება აგრესია და არასათანადოდ რეაგირებენ ადამიანებზე."* – აცხადებს ორგანიზაცია.

– *„სამწუხარო ამბავი მოხდა ოზურგეთში, 2 წლის ბიჭი პიტბულმა დაკბინა. ვიცი, რომ ყველანი ნერვიულობთ და განიცდით მომხდარს. ჩვენ ჩართული ვართ და ოჯახთან, ექიმებთან ერთად, ყველაფერს ვაკეთებთ მის დასახმარებლად. ექიმებმა კი მაქსიმუმი შეძლეს და როგორც ვიცით, უკვე პროგნოზი საიმედოა. მინდა მადლობა გადავუხადო ჯანდაცვის მინისტრს, ზურაბ აზარაშვილს მხარდაჭერისთვის და სწრაფი რეაგირებისთვის. სახელმწიფო ოპერაციას სრულად დაუფინანსებს! კარგია, რომ* ***პარლამენტმა უკვე მოახდინა საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რომელიც უფრო ეფექტურად დაარეგულირებს ძაღლების მოვლა-პატრონობას და უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას დაწესებს ძაღლების მიტოვებაზე. კანონი უნდა იყოს მკაცრი იმ პირების მიმართ, რომლებიც უკონტროლოდ ამრავლებენ ძაღლებს კომერციის მიზნით, ან თავის მეგობარ ცხოველებს ყრიან ქუჩებში და ტყეებში!*** *წმინდა ბარბარე გვფარავდეს!"*– წერს სოციალურ ქსელში ოზურგეთის მერი **ავთანდილ თალაკვაძე..**

ნოემბრის თვეში **„ბურიის სამოქალაქო ცენტრის“** გუნდის წევრებმა მოსახლისეებთან ერთად ოზურგეთის ტერიტორიაზე მიუსაფარი ცხოველები სპეციალური აპლიკაციის საშუალებით აღრიცხეს. **ქ. ოზურგეთში ამჟამად 641 მიუსაფარი ძაღლია..**

მთავარ საფინანსო დოკუმენტზე, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტის განხილვა დასკვნით ეტაპზეა.

მთავარ საფინანსო დოკუმენტზე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა.

სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ **გელა ჩავლეშვილმა** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილულია საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში, ცნობილია მისი პრიორიტეტები და ძირითადი პარამეტრები. ვრცლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრების შეკითხვებს მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი პასუხობდა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 2024 წლის ბიუჯეტი 37 750.0 ათას ლარს შეადგენს, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდება.

კომისიამ დადებითი დასკვნა შეიმუშავა და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტი წარდგენილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა (CSI) სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე ტრენინგი გამართა.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა (CSI) მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე ტრენინგი გამართა. აღნიშნული სწავლება მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასებას ეფრდნობა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის ნაწილია.

შეხვედრაზე განიხილეს ის სტანდარტები და კომპონენტები, რომლებიც სამთავრობო დადგენილებებისა და საერთაშორისო გამოცდილებებით სტრატეგიული დოკუმენტების; სამოქმედო გეგმების შექმნისთვის გამოიყენება.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის განვითარების პროგრამას სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში მართავს.

გურულის ფესვებიანი დიდი კაცი!

მართალია, კიდევ, რომ ვინც საქმეს მარტო დღევანდელი ინტერეს ის თვალით უყურებს, იმისთვის ამ ჩემს წერას არავითარი მნიშვნელება არ ექნება. ეხლანდელ ქუთაისელ კრებას მარტო ერთი დანიშნულება აქვს: ვის მიანდოს ბანკის მმართველობა, ვის ჩააბაროს მისი ზედამხედველობა. ამ კრებაში წესდების შინაარსი და პრინციპები არც კი გაიხილება. შიგ არსებითი, პრინციპიალური სჯის მაგიერ, მარტო პიროვნული სჯა და შეტაკება იქნება. მაგრამ განა ეს ეხლანდელი ქუთათელი კრება მთელს ჩვენს ქართველთა საზოგადოებას შეადგენს. განა მწერლობას მარტომ ეს კრება და მისი გადაწყვეტილებანი უნდა ჰქონდეს მხედვილობაში, და არა მთელი ჩვეენი ქვეყნის მომავალი ბედი და მდგომარეობა. განა ჩვენ არ უნდა ვისარგებლოთ წარსული შეცდობით, რომ მომავალში მსგავსი უბედურება თავიდამ ავაცილოთ ჩვენს საზოგადოებას, ხალხსა და ქვეყანას. განა ცოტ-ცოტა ეხლავე არ უნდა შევიყვანოთ საზოგადოების გონებაში იმ ცვლილებების საჭიროება, რომელთაც შემდეგში შეიძლება გამრუდებული საქმის გასწორება და ხეირიანს გზაზე დაყენება?

მწერალმა და მწერლობამ მხედველობაში უნდა იქონიოს ეს ყველაფერი, თუკი მის წერას საზოგადო სარგებლობა წინ მიუძღვის, და არა მარტო წუთიერი გავლენის ან პირადი სარგებლობის სურვილი. ამის გამო მე ვუბრუნდები ბანკის საქმეს და საჭიროთ ვთვლი მივაქციო მასზე საზოგადო, ყურადღება სწორეთ იმ დროს, როცა ქუთაისის თავადაზნაურობა ერთ მის კერძო, პიროვნულ კითხვას სჯის და სწყვეტს".

პირველი თავით გავაგრძელოდ, არასრულად აქ მოვიტანოდ და რომ იტყვიან „დროზე შევჩერდეთ"...

ასე სჯობს, ჩემი აზრით და ვინც ჩემ აზრს არ იზიარებთ, გპირდებით, მამცნეთ და ბმულს მოგაწვდით გინდა ფბ „მესინჯერში" და გინდაც ელფოსტაზე.

I„რა ნაირათ ადგენდნენ ბანკის წესდებას

ყოველგან, სადაც კი გონიერი და მცოდნე პირი რომელიმე ბანკის დაარსებას აპირებს, ის ყველაზე უწინ ერთი კითხვას აძლევს თავის თავს: „რანაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომელშიაც ბანკი მინდა გავხსნა, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება უფრო ძლიერია ამ მხარეში, და რომელი წესი ყველაზე უფრო სრულათ დააკმაყოფილებს ამ საჭიროებას?" როცა ბანკის გამხსნელი ამ კითხვებს საფუძვლიანათ გამოიკვლევს, ის შეუდგება თავისი არჩეული ქვეყნის იურიდიულის მდგომარეობის გასინჯვას, რომ გაიგოს, რა და რა უფლება და კანონიერი მგდომარეობა აქვს იმ საზოგადოებას და ხალხს, რომელშიაც უნდა დაარსდეს მისი ბანკი. ამის შემდეგ ის შეათანასწორებს სხვა და სხვა გვარი ბანკების დედა აზრებს, პრინციპებს, საფუძვლებს, და გამოარჩევს ამ საფუძვლებში ერთს იმგვარს, რომელიც ყველაზე უფრო მოუხდება და შეეფერება არჩეულ მხარეს, საზოგადოებას და ხალხს, მერმე ამ საფუძველზე ის თვითონ ააშენებს მთელს წესდებას, ისე, რომ ამ წესდების თითოეული თავი და მუხლი შეეფერებოდეს არჩეული მხარის მდგომარეობას, საჭიროებას, ხასიათს და მომავალს. მაშინ გამოდის ხეირიანი და, სრული, ერთიანი, მრთელი. წესდება და ბანკი თავის საკუთარს ფეხზე მაგრათ დგება. მაშინ ამნაირათ გაწყობილი ბანკი ნამდვილი და ცხოველი ნამყოფი გამოდის იმ ქვეყნისა, რომელშიაც და რომლისთვისაც იმართება.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სადმე ბანკი ამ ნაირათ კი არ დაარსებულა, დაასრულა მიბაძეით, გამოუკვლეველათ. ვთქვათ მე მოვინდომე აფხაზეთში ბანკის გამართვა, და სანამ შევიტყე რა რიგი გაწყობილებაა იქ ბატონ ყმებს შუა. რა ნაირი უფლებები აქვს იქ მიწის მეპატრონეთ ადგილ-მამულზე, რა კანონებს ემორჩილება იქაური მმართველობა და სამართალი, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება ადგია იქ ხალხს, ავიღე პოლტავის, პარიჟის და მადრიდის ბანკის წესდებები და ამოვწერე თითოეული მათგანიდამ ის მუხლები ან თავები, რომელიც მე მომეწონა. რა გამოვა აქედამ? შესაძლებელია, რომ თავიანთი მხარეებისთვის ეს წესდებები გამოსადეგი და გონიერნი იყენენ, მაგრამ ჩემი ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი წესდება მაინც იქნება ჭრელი და უხეირო, რა გინდ მოხერხებული და ხელოვნური ნიჭი მქონდეს მე, რა გინდ ვეცადო და ვიშრომო, ათასიც რომ მოვინდომო, მაინც ეერ მოვახდენ. იმ სასწაულს, რომ პეტრეს მშვენიერი შუბლიდამ, ივანეს ლამაზი თვალებიდამ, იაკობის ჩინებული ცხეირიდამ, ლაზარეს ნაზი ტუჩიდამ, ოქროპირის დარგვარებული ნიკაპიდამ, ლუარსაბის შავი ულვაშიდამ და ქაიხოსროს ქერა თმიდამ ერთი ცხოველი და ცოცხალი პირის სახე შევადგინო. შეიძლება რომ, ცალკე აღებული, თითოეული ნაწილი მშვენიერი და დაუწუნარი იყოს, მაგრამ ერთათ ეს ნაწილები შედგენენ უმსგავსო და უსულდგმულო კატლეტს, რომელსაც ზეციდამ მოვლინებული ანგელოზიც ვერ შთაბერავს დღეგრძელობას და ცხოველს სულს. გაივლის ცოტაოდენი დროება, და ნაკუწ-ნაკუწი ნაშრომი დაიშლება, განგანზე გაიწევს, მისი ნაკერავები გაცვდებიან, ნაწილები დალპებიან და დაინგრევიან."

1876 21 აპრილი წერს გამოხმაურებას 2 აპრილს გაზეთ დროებაში გამოქვეყნებულ ნიკო ნიკოლაძის სტატიაზე – „ქუთაისის ბანკის საქმე", სათაურით **„უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე".**

დიდი ამბები იქმნება ილიასა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობისა!

მაშ ასე!

წელი - 1876, თვე - აპრილი, რიცხვი - 11 (კვირა დღე იყო, ეს ისე, სხვათაშორის.)

ამბავი - ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში" (35) აქვეყნებს სტატიას, სათაურით – „ქუთაისის ბანკის საქმე".

სტატის გაზეთის თითქმის მთელი ნომერი ეთმობა, მიუხედავად, იმისა რომ, რედაქციის მეტად საინტერესო შენიშვნა ახლავს და მოდით, სწორედ შენიშვნით დავიწყოთ: „თუმცა კი ამ სტატიას ვბეჭდავთ, მაგრამ სიმართლე ვალსა გვდებს გამოვაცხადოთ, რომ მაგ სტატიაში გამოთქმულს აზრებსა და მსჯელობას არ ვეთანხმებით".

დავიწყეთ და შესავლით (როგორ გინდა, აქ, ილიას „შესავალი" არ გაიხსენო!) გავიხსენოთ/გავიცნოთ:

„შესავალი

რაკი მკითხველი ამ ჩემი სტატიის სათაურს და ხელ-მოწერას თვალს გადაავლებს, მის გონებაში აუცილებლათ ერთი ახირებული აზრი გაელავს:

— ოჰ, გამოუძებნია ნიკოლაძეს ძველი თამასუქები! ქუთაისის ბანკს ხსნიან, ეხლა ჩაასობს ის კბილს ბესარიონ ღოღობერიძეს, აღარ მოე-შვება, ასტეხს ერთს უშველებელს ვაი-ვაგლახს, და მოსვენებას როდიღა მოგეცემს!

დამშვიდდი, ჩემო მკითხველო! ბესარიონ ღოღობერიძესთან მე, ღვთის მადლით, გასაყოფი არა მაქვს რა, და ჩვენ არც არაფერში ვეცილებით ერთმანეთს, არც ერთი მეორის ჯინი გვჭირს. ბესარიონ ღოღობერიძემ შეადგინა ქუთაისის ბანკის წესდება, და დღეს მის კისერზე აუცილებელი მოვალეობა სწევს — ეს წესდება ასრულებაში მოიყვანოს და ბანკის მმართველობა იკისროს. მე ღმერთს ჯერ იმოდნათ ჭკუიდამ არ შეუშლივარ, რომ ბესარიონ ღოღობერიძეს ამ მოვალეობის მიღებაში და შესრულებაში ხელი შეუშალო. მაგიერათ არც ბ. ღოღობერიძეა ისეთი კაცი რომ მთელი ქვეყნის პირზე ხელის აფარება მოინდომოს, მეც მაწევს თავზე ერთი მძიმეთ მოვალეობა, რომლის ასრულებაში მე ვერავინ შემეცილება. ეს მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მე ბეჭდვით რამდენჯერმე გამოეთქვი იმ წესდების განკიცხვა, რომელიც ბ ღოღობერიძემ. შეადგინა და რომელიც იმან ეხლა ასრულებაში. უნდა მოიყვანოს. მართალია, ამ განკიცხვას ის საფუძველიც ჰქონდა, რომ მე ვკიცხავდი იმ გზას, რომლითაც ბ. ღოღობერიძემ თავისი წესდება ჩვენს თავად-აზნაურობას მიღებინა, მაგრამ ეხლა უმთავრესი მნიშვნელობა ამ გზას კი არა, თვითონ ამ წესდების შინაარსს მიეცა, ამის გამო მე უნდა ვილაპარაკო თვითონ ამ წესდებაზე. "

არა, არა, წესდებაზე აქ ნუ ვისაუბრებთ, მოვა დრო და ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ-სივრცის შესაბამის ადგილზე განვათავსებ... 2 აპრილს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული ილიას სტატია გავიხსენოთ.

რომელი?

რომელი და... „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე".

რომ იტყვიან „გემრიელი დასაწყისი აქვს" და მეც, თქვენთან ერთად კითხვას ვიწყებ.

მენდეთ, თავად ბევრი საინტერესო რამე-რუმეები სწერია თავად დასაწყისში...

„უფ. ნიკოლაძემ დაბეჭდა „დროებაში" სტატია, რომელსაც ჰქვიან „ქუთაისის ბანკის საქმე". თუმცა უფ. ნიკოლაძის გონიერებისა, მიხვედრილობისა და ყველასაგან ცნობილის ნიჭიერებისა დიდი პატივისმცემელი ვარ, მაგრამ არც მე მივცემ ჩემს თავს ნებას და არც თვით უფ. ნიკოლაძე მომთხოვს, რომ ამ პატივისცემას პირუთვნელობა მსხვერპლად მოვუტანო. საგანი, რომელსაც შეეხება იგი სტატია, ისეთის დიდის მნიშვნელობისა არის, რომ მაზედ მრუდე და უსაფუძვლო აზრების გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში დიდს ვნებას მოუტანს ჩვენს საზოგადო საქმესა. უნდა ვაღიაარო, რომ იგი სტატია ამ საგანზედ იმისთანა აზრებს ჰქადაგებს, რომელნიც არა მგონია დამჯდარის გონებით იყვნენ მოსაზრებულნი და რომელთაც საქმის წახდენა შეუძლიან არამც თუ ქუთაისის, არამედ ტფილისის გუბერნიაშიაც. ამის გამო მე ჩემს უწმინდესს ვალად ვრაცხ პირდაპირ აღვუდგე იმ სტატიასა. მათ უფრო დიდის გაბედვით ვკისრულობ ამას, რომ მე კარგად) ვიცნობ უფ. ნიკოლაძეს, თვით იგი მიმიხვდება, რომ ამ შემთხვევაში მე აღმძრა იმავ ჭეშმარიტების სიყვარულმა და სიკეთის სურვილმა, რომლითაც შეიარაღებული თვით უფ. ნეკოლაძე ეგრე ნიჭიერად იბრძვის ხოლმე."

ხომ მართლა კარგია?!

ჯერ სადაა...

ვაგრძელებთ...

დარწმუნებული ვარ გაზეთ „ალიონის" რედაქცია, სიამოვნებით გაიხსენებს წერილის გაგრძელებასაც...

„უფ. ნიკოლაძე თავისის სტატიის დასაწყისში ამბობს და მართლადაც ამბობს, რომ ვისაც ბანკის დაარსება უნდა, იმან ჯერ უნდა შეიტყოსო: „რანაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომელშიაც ბანკის გახსნა უნდაო, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება უფრო ძლიერია იმ მხარეში და რომელი წესი ყველაზე უფრო სრულად დააკმაყოფილებს ამ საჭიროებასაო".

უფ. ნიკოლაძეს რომ აქ გამოთქმული აზრი თვით ეწამა და ეგ აზრი ეხმარა ქუთაისის ბანკის წესდების საზომად, მაშინ თვით დაინახავდა, რომ იმ წესდების შემადგენელს მაგ აზრისათვის არც ერთის სიტყვით არ უღალატნია. ვიდრე ჩვენ ამას დავამტკიცებდეთ, საჭიროა ავხსნათ, რა არის კრედიტი."

აი, აქ კი შევწყვეტ სტატიის ტოქვენთვის გახსენება/გაცნობას და ბოლოსკენ წავალ...

ბოლო კი მთელი სისრულით მინდა „წარმოგიდგინოთ"...

„დიდად და დიდად ვწუხვარ, რომ მაგისთანა აზრებსა ჰფენს და ჰქადაგობს იმისთანა ჭკვიანი კაცი, როგორც უფ. ნიკოლაძე, რომლის სახელიც ბევრს წაიტყუებს, და ეგ წატყუება ფეხს შეუშლის არამც თუ მარტო ქუთაისის ბანკსა, არამედ ტფილისისაცა.

დასკვნა:

მე რომ უფ. ნიკოლაძის ადგილს ვყოფილვიყავ, ხელს მოვიჭრიდი და იმისთანა სტატიას კი არ დავსწერდი, რომელიც უმეცრებასა და უვიცობას საღერღელს უხსნის და ფრთას ასხამს."

არ დაგვავიწყდეს, იმავე წლის 21 აპრილს „გაზეთი „დროება" (39) აქვეყნებს ილიას წერილს „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე" [კორექტურული შეცდომების გასწორება იხ. 41-ში]. (თსკ-ში ტ. VII). გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი" (103) ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის წერილს „Практика земельного кредита", რომელშიც უმთავრესად გაკრიტიკებულია თბილისის საადგილმამულო ბანკი მისი საქმიანობა".

„თბილისის საადგილმამულო ბანკი მისი საქმიანობის" გაკრიტიკების ამბავი, სამწუხაროდ, მხოლოდ გაზეთების ფურცლებზე არ გაგრძელებულა და მით უფრო, არ დასრულებულა.

მივყვეთ ქრონოლოგიას...

არანაირი კომენტარი და „მსგავსები"...

მხოლოდ ქრონოლოგია და მეტი არაფერი (?!)

„12 მაისს „გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის" 103-ში გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის სტატიის გამო თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობა (ილიასა და ბანკის დირექტორების ა. ჩოლოყაშვილისა და დ. ავალიშვილის ხელმოწერით) წერილს აგზავნის „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქციაში, რომლითაც გაზეთის რედაქტორს ბებუთოვს და ნიკო ნიკოლაძეს იწვევენ სამედიატორო სასამართლოში.

„ბანკის გამგეობის წერილი „ М. Г в. № 103 Тифлисского вестника " ქვეყნდება 13 მაისს გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკის" 105-ში."

გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთის რედაქტორი ბებუთოვი და ნიკო ნიკოლაძე იღებენ გამოწვევას იმ პირობით, თუ პოლემიკა იწარმოებს პრესის საშუალებით."

მაისის 15 — გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკი" (№ 106) აქვეყნებს ო. ჭავჭავაძის, ა. ჩოლოყაშვილის, დ. ავალიშვილის ხელმოწერით ბანკის გამგეობის წერილს „М. г., в вашем ответе на наш вызов...".

ბანკის გამგეობა უარს აცხადებს ნ. ნიკოლაძესთან პოლემიკაზე: Мы в свое время печатно и на своем месте словесно разъясним дело, но отнюдь не вступим в полемику с автором „Практики"".

მაისის პირველი ნახევარი — საბანკო საკითხებში უთანხმოებათა გამო ილია ტოვებს „დროების" რედაქციას."

აი, აქ ცოტა უნდა შევისვენო მე და შეგასვენოთ თქვენ...

მეტად დამღლელი „ქრონოლოგიაა!

ვისვენებთ...

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი „ალიონი" №29-30

გიო კილაძე

„დროების“ კორესპონდენცია

ოზურგეთი, 31 დეკემბერს. ამ ჩვენს პატარა ქალაქში გასული ომის დრომდე დიდი სიცოცხლე და მღელვარება სუფევდა. ომის შემდგომ ეს სიცოცხლე და მოძრაობა ისევ ჩაქრა და ქალაქი გამოყრუვდა, „საზოგადო ცხოვრება“ თითქმის აღარ არის.

ადგილობრივმა ინტელიგენციამ მოინდომა, ცოტაოდენით გაეცოცხლებინა აქაური საზოგადოება კლუბის გახსნით, რომ თავისუფალ დროს, აქაურ მცხოვრებთ ერთმანეთთან შეხვედრით შესძლებოდათ ერთად დროის გატარება და საჭირო საგნებზედ ბაასი. მაგრამ ამ საქმეში ჩვენს „ინტელიგენციას“შეხვდა დიდი დაბრკოლება სხვადასხვა დიდებულ პირთაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი საზოგადოებამ ვერ იცნო კეთილი ჰაზრის გამომხატველად და არ ისურვა მათი წინამძღოლობა საზოგადო საქმეში.

მაგრამ ქუთაისის ღუბერნატორმა მიიღო მონაწილეობა ჩვენს მდგომარეობაში და დაგვპირდა კლუბის ნებართვა.

გარდა კლუბის გახსნისა, ჩვენი საზოგადოება მოელის, რომ ოზურგეთის მოედანზედ გაკეთდება მშვენიერი ბაღი შადრევანით და როტონდით, სადაც ზაფხულში საზოგადოებას თავისუფალი დრო ექნება, კმაყოფილება ერთად თავის შეყრისა, ტანცაობისა და წმინდა ჰაერის ყლაპვისა. პირველი ჰაზრი ამ ბაღის გაშენებისა ეკუთვნის ბ. ოზურგეთის უეზდის ახლანდელ ნაჩალნიკს, რომელმაც შარშან ზაფხულში ტექნიკის საშუალებით გაპლანა მოედანი და ჩაასობინა რამდენიმე ადგილზედ სარები. წელს სრულებით მოათავა აღება პლანზედ და იმ მაედნისა ზემლემერმა კალჩანოვმა. ამ პლანის აღება, როგორც ჩვენ გავიგეთ, ღირს 60 მან; მხოლოდ ქალაქის მცირე შემოსავალის გამო, ვერ იპოვეს ჯერ წყარო, რომლიდგანაც დააკმაყოფილონ ეს ვალი. საბაღე ადგილის გაპლანვის შემდგომ ახლა ვკითხულობთ, თუ საიდან დაკმაყოფილდეს ეს ხარჯი, რომელიც დასჭირდება სისრულეში მოყვანას ზემოთ თქმული მშვენიერის ჰაზრისას, ეს იგი მადენაზედ ბაღის გაშენებაზე? ჩვენ იჭვში ვართ, რომ ეს ხარჯი იქმნეს იმ შემოსავლისაგან, რომელიც აქვს ამ ჩვენს პატარა ქალაქს. იჭვში ვართ იმის გამო, რომ ამას წინეთ ოზურგეთის მოქალაქეთა შეაყენეს განჩინება, რომ ქალაქის შემოსავლისაგან დაინიშნოს სამასი მანეთი დასაქირავებლად კაპელმეისტერისა, რადგანაც იქაური კამანდის მუზიკა ცუდს მდგომარეობაშია კაპელმეისტერის უყოლობით. მაგრამ უეზდის ნაჩალნიკი ვერ აძლევს მსვლელობას ამ განაჩენს, რადგანაც იმის აზრით ქალაქის შემოსავალი სხვა უფრო საჭირო მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს.

ძალიან საჭიროა მიაქციონ ყურადღება ოზურგეთის ქალაქის ქუჩების გაშრობას, უმთავრესი ნაწილი ამ ქუჩებისა წარმოადგენს გაუვლელ ჭაობს და აქეთ სასიკვდილო გავლენა მოქალაქეთა ცხოვრებაზედ.

გურული

გაზეთი „დროება“, 6 იანვარი, 1881 წ. №3, გვ.3

P.S. პროფესორ შალვა გოზალიშვილის ვერსიით ფსევდონიმი „გურული“ ეგნატე ნინოშვილს ეკუთვნის.

ჩემპიონის ქამარი ჩვენია!

2023 წლის 15-16-17 დეკემბერს, თბილისში, ოლიმპიურ სოფელში, ტანვარჯიშის აკადემიამ ტაეკვონდო – WT ოლიმპიური სახეობაში, ყველა ასაკში საქართველოს პირველობას უმასპინძლა.

აღსანიშნავია რომ, ასეთი ფართომასშტაბიანი ჩემპიონატი ტაეკვონდოში ჯერ არ ჩატარებულა. შეჯიბრში 600 მონაწილე ასპარეზობდა და ყველა წონასა და ასაკში დიდი კონკურენცია იყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ტაეკვონდოს სექციის (ურეკი, ოზურგეთი) სპორტსმენებმა 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს.

II ადგილი **ნათია ტულუში** – 10 წლის, 33 კგ; **ნიკოლოზ ერქომაიშვილი** – 7 წლის ,27 კგ; **სბა გოგუაძე**– 78 კგ.

III ადგილი **ზურაბ ჩხვიმიანი** 13 წლის კადეტი. ოზურგეთელი სპორტსმენები ასპარეზობისთვის **ირაკლი ტულუშმა** და **გიორგი ბერიძემ** მოამზადეს.

განცხადება

მეცხოველეობის ფერმაში გვესაჭიროება დამხმარე (სასურველია ცოლ-ქმარი).
ფერმა აღჭურვილია განათებით. დამხმარეებისათვის არის 3 საცხოვრებელი ოთახით (გათბობა შეშის ღუმელით).
გვყავს 2 უცხოური წარმოების ტრაქტორი თავისი სახნავ-სათესი საშუალებებით.
ფერმის საძოვრები შემოღობილია.
ანაზღაურება შეთანხმებით.
მისამართი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესა (ბეჭან უგრეხელიძე).
მობ. 551 27 55 11

სკანვორდი



პასუხები:

ჭოკი; ალბატროსი; კოლიბრი; ეროვნული; ალბომი; ალბერტ; ალბერგამოდი; ალბერგი; ალბერგი; ალბერგ

ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში

დასწყისი „ალიონი“ № 27-29



გამოძიება ვერ მიხვდა, თორემ რუსი სამხედროები საკმაოდ საზრიანად და წინდახედულად მოქმედ-ბდნენ: მათ კარგად იცოდნენ, რომ ბომბი არსენა ჯოიაშვილს არ გაუ-სვრია, ტერორისტ-მა ბომბი საინჟ-ნრო სამმართველოს შენობიდან ისროლა და სწრაფადვე მიიმალა. სწორედ ამიტომ გადაიყვანეს მათ არსენა ჯოიაშვილი საინჟინრო სამმართველოს შენობის წინ, საიდანაც ბომბი გაისროლეს. ამ გზით რუსები უფრო ადვილად და-მტკიცებდნენ, რომ ბომბი სწორედ მათ მიერ შეპყრობილმა ისროლა. რუსი ჯარისკაცი და უნტეროფიცერი ასე არ მოიქცეოდნენ, მათ რომ სცოდნოდათ ერთი რამ: გამოძიება ბომბის გასროლის ადგილად ალექსანდრეს ბაღის შესასვლელს მიიჩნევდა;

5. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურამ ერთი მოწმეც კი ვერ იპოვა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბომბი არსენა ჯოიაშვილმა ალექსანდრეს ბაღის შესასვლელიდან ისროლა. ამას, ზემოთ ხსენებული რუსი ჯარისკაცისა და უნტეროფიცრის გარდა, არავინ ადასტურებდა, მით უმეტეს, რომ ალექსანდრეს ბაღი, როგორც ვთქვით, სავსე იყო ჯარით, პოლიციითა და მოქალაქეებით დაბარიატინსკის ქუჩაზეც ხალხი მრავლად მოძრაობდა. ცხადია, ძიება ამ სუსტ მხარეს კარგად ხედავდა, ამიტომ ცრუმოწმის გამოყენება სცადეს. უბნის ბოქაულმა დაკითხვისას აჩვენა, რომ მან დაინახა, თუ როგორ ესროლა ბომბი გენერლის ეტლს სწორედ არსენა ჯოიაშვილმა. სასამართლო პროცესზე ცრუმოწმე ადვოკატებმა დააბნიეს და დაკითხვისას მას წამოცდა: ბომბის აფეთქების ხმა ჩემს სამუშაო ადგილზე (კაბინეტში) გავიგონეო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოქაული დანაშაული ადგილზე კი არ ყოფილა, იქ მოგვიანებით მისულა.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, თბილისის ოხრანკის უფროსი და კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურის სამხედრო გამომძიებელი დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალები იყვნენ საიმისოდ, რომ ადვილად მიმხვდარიყვნენ, არსენა ჯოიაშვილს გენერალი ფიოდორ გრიაზნოვი არ მოუკლავს. სამივე მოხელე სრულიად უძლური აღმოჩდა ჭეშმარიტების დადგენაში. საქმე ის იყო, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მკვლელობამ უკიდურესად აღაშფოთა სამხედროები, რომლებიც ამ დროისათვის, ფაქტობრივად, ქალაქის ბატონ-პატრონები იყვნენ. სამხედროებმა ულტიმატუმი წამოაყენეს: თუ გენერლის მკვლელს დროულად არ იპოვიდნენ, ქალაქს საარტილერიო ცეცხლით გადაწვავდნენ და მოსახლეობას დაარბევდნენ. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა, თბილისის ოხრანკის უფროსმა, თბილისის პოლიცმაისტერმა და თვით სამხედროებმაც კარგად უწყოდნენ, რომ ტერორისტს ან საერთოდ ვერ იპოვიდნენ, ან მის დაპატიმრებას საკმაო დრო დასჭირდებოდა. ასე რომ, თბილისის დარბევა და აწიოკება თითქმის გარდაუვალი ჩანდა. გენერალ გრიაზნოვის მკვლელის პოვნა და შეპყრობა სამი უწყების: თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკისა და თბილისის პოლიცმაისტერის— მოვალეობას შეადგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ ტერორისტს ვერ შეიპყრობდნენ და სამხედროები ქალაქს დაარბევდნენ, ამაზეც პასუხისმგებელი ზემოთ ხსენებული სამი უწყება იქნებოდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსა და თბილისის ოხრანკის უფროსს ისღა დარჩენოდათ, რომ ძიებისათვის მასალები ისე მიეწოდებინათ, რომ გენერლის მკვლელობა არსენა ჯოიაშვილს დაბრალებოდა, ანუ არაფერი გაეთვალისწინებინათ, გარდა ორი თაღლითი რუსის —რიგით ჯარისკაც **მოისეი კირიჩუკისა** და უნტეროფიცერ **მატვეი კოვალენკოს** — მაქინაციისა.

არსენა ჯოიაშვილის გენერალ გრიაზნოვის მკვლელად გამოცხადებაში ჟანდარმერიასა და ოხრანკას უნებურად ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა **იოსებ ჯულაშვილმა.** რსდმპ თბილისის კომიტეტს ტერორისტული აქტები დროებით აკრძალული ჰქონდა, ეს სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო იმით, რომ 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისში პოლიციისა და ჯარის მერ დატრიალებული ხოცვა-ჟლეტა მოსახლეობამ სოციალ-დემოკრატებს დაუბრალა. იყო შემთხვევები, როდესაც აღელვებულმა ადამიანებმა პირდაპირ ქუჩაში სცემეს სოციალ-დემოკრატებს. შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე სოციალ-დემოკრატები ან ქალაქიდან გადაიხვეწნენ, ან ღრმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს. კიდევ ერთ ახალ ტერორისტულ აქტს ხელისუფლების მხრიდან უფრო მკაცრი რეპრესიები და დარბევები მოჰყვებოდა, რაშიც მოსახლეობა, ცხადია, სოციალ-დემოკრატებს დაადანაშაულებდა. სოციალ-დემო-კრატების მიმართ სიძულვილი გაიზრდებოდა, რასაც ანგარიშსწორებაც მოჰყვებოდა. ამიტომ იყო, რომ **ნოე ჟორდანიამ** და სხვა მეწშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს, რომ ტერორისტულ აქტთან არავითარი საერთო არ ჰქონიათ. უშველიდა თუ არა ეს განცხადება საქმეს, არავინ იცის. ნოე ჟორდანიასაგან განსხვავებით, სხვაგვარად მოიქცა იოსებ ჯუღაშვილი. მან სასწრაფოდ დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიცავდა უადგილო მოწოდებას: ვიხსნათ **არსენა ჯორჯიაშვილი!** ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ორი გარემობა: პირველი, ვის და როგორ უნდა ეხსნა გენერალ გრიაზნოვის მკვლელი და ისიც იმ დროს, როდესაც თბილისში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული; მეორე, ის, ვისაც გენრალ გრიაზნოვის მკვლელობა ედებოდა ბრალად, ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერის მიხედვით, იყო არსენა ჯოიაშვილი და არა არსენა ჯორჯიაშვილი. ეს უბრალო კორექტურული შეცდომა არ იყო, გვარი იოსებ ჯუღაშვილმა განგებ შეცვალა. ასეა თუ ისე, იოსებ ჯუღაშვილმა ძიებას ირიბად დაუდასტურა, რომ გენერალი ტერორისტმა არსენა ჯორჯიაშვილმა მოკლა, რომლის ხსნისაკენაც ამაოდ მოუწ-ოდებდა იგი ამხანაგებს. რადგან მკვლელი დადგენილი იყო, სამხედროებიც დაწყნარდნენ და თბილისიც დარბევას გადაურჩა. იყო თუ არა ეს იოსებ ჯუღაშვილისაგან მორალური საქციელი, სხვა საკითხია.

მთავარი მაინც სასამართლო იყო. არსენა ჯოიაშვილი იმავე წელს სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. ბრალდებულს ცნობილი ქართველი ადვოკატი **იოსებ ბარათაშვილი** და ასევე ცნობილი ებრაელი ადვოკატი **კლანკი** იცავდნენ. სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, წევრებმა, პროკურორმა იცოდნენ, რომ გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელად არსენა ჯოიაშვილისათვის უნდა ეცნოთ. ძიების მასალებიც სწორედ ამ პრინციპით იყო წარდგენილი სასამართლოზე. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ სასამართლოზე მიყვანილი ცრუმოწმე, უბნის ბოქაული, რომელიც პირველსავე დღეს გამოააშკარავეს იოსებ ბარათაშვილმა და კლანკმა. ადვოკატებმა მოითხოვეს, რომ სასამართლო პროცესზე მიეყვანათ და დაეკითხათ საქმის ორი მთავარი მოწმე:ჯარისკაცი **მოისეი კირიჩუკი** და უნტეროფიცერი **მატვეი კოვალენკო.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ორმა პიროვნებამ ბარიატინსკის ქუჩაზე ბომბის აფეთქების შემდეგ არსენა ჯოიაშვილი დააკავა, მათვე პოლიციელებს განუცხადეს, ბომბი ეტლს სწორედ ამან ესროლაო. ადვოკატთა შუამდგომლობის მოთხოვნა სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან მოისეი კირიჩუკი და მატვეი კოვალენკო ბრალდების მთავარი მოწმეები იყვნენ, მათ ჩვენებას სხვა არავინ ადასტურებდა. ადვოკატების მოთხოვნას ასეთი პასუხი გაეცა: ჯარისკაცი კირიჩუკი და უნტეროფიცერი კოვალენკო თბილისში აღარ მსახურობენ, ისინი ვლადიკავკაზში გადაიყვანეს და მათი თბილისში ჩამოყვანა და დაკითხვა სასამართლოს საჭიროდ არ მიაჩნიაო. სინამდვილეში, სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე შიშობდა, რომ არსენა ჯოიაშვილის ადვოკატები კირიჩუკსა და კოვალენკოსაც ისევე დააბნევდნენ, როგორც დააბნიეს და სიმართლე წამოაცდენინეს უბნის ბოქაულს.

სასამართლო პროცესი დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, არსენა ჯოიაშვილს გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობა) მიესაჯა. არსენა ჯოიაშვილი 1907 წლის 1 მარტს ჩამოხრჩვეს თბილისის საგუბერნიო ციხეში. თბილისელმა ჯალათმა უარი თქვა სიკვდილმისჯილის ჩამოხრჩობაზე, რის ერთადერთ არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ: მან, ისევე, როგორც უამრავმა თბილისელმა, კარგად იცოდა, რომ არსენა ჯოიაშვილს გენერალი გრიაზნოვი არ მოუკლავს, იგი სხვა ტერორისტის ნაცვლად ისჯებოდა. არსენა ჯოიაშვილი ქალაქ ოდესიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა ჯალათმა ჩამოახრჩო. ასე დაიმალა სიმართლე, რომელიც კარგად უნდა სცოდნოდა კავკასიის მეფისნაცვალს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, თბილისის ოხრანკის უფროსს, კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორს, სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და ბოლოს, იოსებ ჯუღაშვილს.

საბჭოთა საქართველოში არსენა ჯოიაშვილის სახელი ეწოდა ალექსანდრ ბარიატინსკის ქუჩას, ოღონდ შენობებზე მიკრულ ფირნიშზე გვარი **ჯოიაშვილი** კი არ იყო მითითებული, არამედ **ჯორჯიაშვილი.** ასე შევიდა საქართველოს ისტორიაში არსენა ჯოიაშვილი ჯორჯიაშვილის გვარით.

არსენა ჯოიაშვილის სახელი ძალზე პოპულარული გახდა 1921 წელს ივანე პერესტიანის მიერ გადაღებული ფილმის, „არსენა ჯორჯიაშვილის," შემდეგ. ამ ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ მთავარი როლის შემსრულებელი მიხეილ ჭიაურელი შეხვედრია იოსებ სტალინს. საუბრისას, სხვათა შორის, სტალინს უთქვამს: ფილმი კი გადაიღეთ, მაგრამ შენ იცი თუ არა, რომ გენერალი გრიაზნოვი არსენა ჯორჯიაშვილს არ მოუკლავსო. გაოცებულ მიხეილ ჭიაურელს სტალინისათვის უკითხავს:—მაშ, ვინ მოკლა? სტალინს ტერორისტის ვინაობა არ დაუსახელებია, ხოლო ამ საკითხზე საუბარიც ასე დაუსრულებია: ეხლა რა მნიშვნელობა აქვს, გრიაზნოვის მკვლელი ამჟამად დიდი კაციაო. ეს "დიდი კაცი" კი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი სახალხო კომისარი(მინისტრი) იყო. მინისტრმა, პერსონალური პენსიის მიღება მოინდომა და საგანგებო განცხადებაში რევოლუციის წინაშე თავისი დამსახურებები ჩამოთვალა. დამსახურებათა ვრცელ ნუსხაში ერთ-ერთი ასეთიცაა: გენერალი გრიაზნოვი მე მოვკალიო.

სიმართლე მაინც არ დაიმალა, თუმცა მავანისა და მავანის კარიერას შეეწირა სრულიად უდანაშაულო ადამიანის, არსენა ჯოიაშვილის, სიცოცხლე.

თბილისში ერევანსკის მოედნიდან რუსეთის ხაზინის კუთვნილი ფულის გატაცება(1907 წლის 13 ივნისი)

1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნიდან, ტერორისტებმა გაიტაცეს რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი ფული — 250 ათასი მანეთი (ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები). საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ერევანსკის მოედანზე ექსპროპრიაცია განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა (რსდმპ თბილისის კომიტეტმა). ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი იყო **იოსებ ჯუღაშვილი,** ხოლო უშუალო შემსრულებელი —**სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო).** საარქივო მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იოსებ ჯუღა-შვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაცი-ასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებული ექსპროპრიაციის შესახებ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ინფორმაცია მიაწოდა ორმა აგენტმა. აგენტი " 1907 წლის 15 ივნისს წერდა: ამა წლის 13 ივნისს ფოსტაზე თავდასხმა განახორციელა 32 კაცმა, რომელთაგან 10 ბომბებით იყო შეიარაღებული, 12 — რევოლვერებით, ხოლო დანარჩენები შექმნილი არეულობის დროს ფულის გატაცებით იყვნენ დაკავებულნი. რომელ პარტიას ეკუთვნიან მძარცველები, ჯერჯერობით ჩემთვის ცნობილი არ არის. ფულის გატაცების გეგმა შეადგინა ვიღაც სტუდენტმა, რომელიც ცხოვრობს სადღაც ვერაზე, მისი გვარი ჩემთვის ცნობილი არ არის, თუმცა სახეზე ვიცნობ. მისი ნიშნებია: მაღალი ტანის, შავგვრემანი, წვერს მოკლედ იკრეჭს, იცვამს ნაცრისფერ კოსტიუმს და ახურავს შავი შლაპა. ძარცვის მეორე მონაწილე დაბალი ტანისაა, შავგვრემანია, სავარაუდოა, სომეხი იყოს, ატარებს პენსნეს, მარცხენა ფეხით კოჭლობს, ფეხის ტერფი შებრუნებული აქვს მარცხნივ, საუბრობს ნელა, იგი დიდი ხანი არ არის, რაც გადასახლებიდან გაიქცა და იმალება თბილისში, მას სურს 16 ან 17 ივნისს გაემგზავროს ქალაქ ელისავეტოპოლში მცხოვრებ ვიღაც ამხანაგთან, სადაც ორი კვირა აპირებს დარჩენას და შემდეგ დაბრუნდება თბილისში. მისი ნათესავები ცხოვრობენ გოგოლის ქუჩაზე №55 სახლში.

1907 წლის 2 ივლისით დათარიღებულ ინფორმაციაში თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მეორე აგენტი "Большая" აღნიშნავდა: 13 ივნისს ძარ-ცვის შედეგად გატაცებული ფული ჯერ არ გაუნაწილებიათ, ფული ავლაბარშია კომიტეტის განკარგულ-ებაშია. გატაცებული ფულის განაწილებას ასე აპირებენ: ნაწილი გადაიდება რევოლუციის საჭირო-ბისათვის, დარჩენილ ნაწილს მიიღებენ ძარცვის მონაწილეები, თი-თოეული 2.000 მანეთს. მძარცველთა ჯგუფის ხელმძღვანელია "მამასახლისი"("Старшина")— ყოფილი კონდუქტორი **სარქის ოთაროვი,** რომელიც ცხოვრობს მალაკნების ქუჩაზე, ავჭალის კონკის პარკის პირდაპირ მდებარე სახლში. სახლი ახლოსაა სადგურთან, ბინა მეორე სართულზე აქვს, აივანი გამოდის მალაკნების ქუჩაზე, ესაა მესამე აივანი მალაკნების ქუჩის კუთხიდან. ოთაროვი ტანდაბალია, მსუქანი და ატარებს დიდ წვერს. "შავხალათიანები "("Черноблузники") ყოველ ღამე, 12 საათზე, იკრიბებიან.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გური

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 560-563

გილოცავთ დამდეგ 2024 წელს, შობის დღესასწაულის მობრძანებას, უფლის წყალობა და მადლი, წინსვლა და წარმატებები არ მოშლოდეს ჩვენ ქვეყანას.

ლავრენტი ბიგვავა,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ რომ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, დასახული მიზნების მიღწევისა და სიხარულით სავსე ცხოვრების მომტანი წელი.

გელა აროშიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ჩემო ოზურგეთელებო, სილაურელებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ულევ სიხარულს. სიკეთეს და წარმატებას თქვენ და თქვენს ოჯახებს

გოჩა კილაძე
ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე

ჩემო ოზურგეთელებო, შრომელებო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს სიკეთისა და ბედნიერების მომტანი.

დავით ჭაკნელიძე
შრომა-ურეკის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს აბრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მრავალჭამიერ ახალსა წელსა!!! მშვიდობით, ლხინით, ხვავითა და ბარაქით შემოსულიყოს 2024 წელი ყველა თქვენთაგანის ოჯახში!

მანანა ერქომაიშვილი,
სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი

ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრი დამდეგ 2024 წელს და შობა-კალანდას გილოცავთ სრულიად საქართველოს –გურიასა და ჩვენს საყვარელ ოზურგეთელებს!

ავთანდილ სურგულაძე,
ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი.

ნოდარ დუმბაძის სახელობის ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა ჩვენს თანაქალაქელებს, სკოლის პედაგოგებს, აღსაზრდელებს, მშობლებს საუკუთესო სურვილებით ვულოცავთ 2024 წლის შემობრძანებას.

ფატი სიორიძე,
№2 საჯარო სკოლის დირექტორი.

ჩვენ საყვარელ ქვეყანას, ოზურგეთს, უსაყვარლეს აღსაზრდელებს, ერთგულ პედაგოგებს ვულოცავ 2024 წლის შემობრძანებას, და კარს მომდგარი შობა-კალანდა დაგვხვდეს თითოეული ჩვენგანის ოჯახს.

ტარიელ კალანდაძე,
№4 საჯარო სკოლის დირექტორი

მარცხნიდან (II რიგში): მარიამ ჩხარტიშვილი, ანასტასია კუპრაძე, გიორგი მგელაძე, გიორგი მუჯირი, ილია ვაშალომიძე, ბარბარე კვირკველია, მარიამ ხომერიკი; (I რიგში): საბა ბილიხოძე, ნატალი მუჯირი, ნია თვალბეიშვილი, მარიამ მუჯირი, ანიტა ზაქარიაძე, მართა გიორგაძე, აკაკი კიკვაძე, ქეთი სიხარულიძე, მარიამ კობალავა: პედაგოგები –მირანდა ვანიძე, ნატო ყალიჩავა.

წვიმა +3+9	მზე +8+13	მზე +5+12	მზე ღრუბელი +8+12	მზე ღრუბელი +8+12	მზე +7+11	მზე ღრუბელი +7+11
28 დეკემბერი ხუთშაბათი	29 დეკემბერი- პარასკევი	30 დეკემბერი შაბათი	31 დეკემბერი კვირა	1 იანვარი ორშაბათი	2 იანვარი სამშაბათი	3 იანვარი ოთხშაბათი